№ 143

ხუთშაბათი, 7 ივლისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 — | 6 | . . . | 6 — |
| 11 | . . . | 9 50 | 5 | . . . | 5 50 |
| 0 | . . . | 8 75 | 4 | . . . | 4 75 |
| 9 | . . . | 8 — | 3 | . . . | 3 50 |
| 8 | . . . | 7 25 | 2 | . . . | 2 75 |
| 7 | . . . | 6 50 | 1 | . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 143

ხუთშაბათი, 7 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა ხაინგარიში ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახალი შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ხუთიანის ბირჟასთან.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუჩელიანცს, ტფილისს.

(24—1297—2)

## ტფილისი, 7 ივლისს

ყოველთვის როდესაც ქვეყანაში რომელიმე შემაძრწუნებელი საქმე მოხდება, საზოგადოება ეძებს დამნაშავეს და თხოულობს, რომ სასტიკად იქნას იგი დასჯილი.

სამსჯავრო, როგორც გამომეტყველი საერო სინიდისისა, სწრაფად ასამართლებს დამნაშავეს, ხშირად მიუსჯის ხოლმე საშინელს სასჯელს და აღშფოთებული ხალხის რისხვა გმაყოფილდება, ნელდება.

სისხლის სამართლის მეცნიერთა შორის არიან მრავალნი ისეთნი მეცნიერნიც, რომელნიც სრულიად უარს ჰყოფენ, რომ დამნაშავეს ჯეროვანი სასჯელი მიეზღოს. ისინი თხოულობენ მხოლოდ, რომ მავნებელი წევრი საზოგადოებისა განშორებული იყოს ხალხისაგან იმ დრომდე, სანამდის ხასიათით გასწორდებოდეს, სანამ ისევე შეიქნებოდეს ღირსი თვის თანამოძმეთა შორის ცხოვრებისა.

არის მეორე დასი მწერალთა, რომელნიც მთელს იმედს ადამიანის ბუნების გასწორებისას და საზოგადოებაში სამართლიანობის დამყარებისას ამკვიდრებენ მხოლოდ სასტიკ და შეუბრალებელ სასჯელზედ.

დღეს-დღეობით ამ უკანასკნელთ მომეტებული მომხრე ჰყავს არა მარტო ჩვენში, არამედ განათლებულ ევროპის საუკეთესო სახელმწიფოებშიც-კი.

მაგრამ არის მესამე დასი მეცნიერთა და სოციოლოგთა, რომელიც სულ სხვა თვალით უყურებს დამნაშავეს და თვით დანაშაულს. ეს დასი იმ აზრისაა, რომ თითოეული უბედური შემთხვევა აუცილებელი შედეგია აწინდელ საზოგადოებრივ მდგომარეობისა და მთელი თვისი მისწრაფება და ღონე იმად აქვს მიმართული, რომ თითონ ეს მიზეზნი, რომელიც უმზადებს დამნაშავეს ნიადაგს და რომლის წყალობით ადამიანები დღეს ერთი მეორის შესაჭმელად განმზადებულნი არიან,—გამოიკვლიოს და ფხიზლად შეებრძოლოს, შეამციროს და მოსპოს.

ეს უკანასკნელი აზრი, ეს საშუალება საზოგადო მშვიდობიანობის და სამართლიანის დამოკიდებულების დასაარსებლად, რასაკვირველია, ფრიად გონიერია და მაშასადამე უფრო შეშმარიტიც ბედნიერის ცხოვრების დასამკვიდრებლად. მაშინ როდესაც ერი ხმა მაღლა ჰღაღადებს: „დასაჯეთ იგიო“, არ უნდა იყოს დავიწყებული თვით იმის მიზეზი, რისათვისაც თხოულობს იგი დამნაშავის დასჯას.

საუბედუროდ, ამ უკანასკნელს დროს ხანჯალმა არა მარტო ტფილისში იჩინა თავი, არამედ თვით უგანათლებულესს ქვეყანაშიც-კი.

თუმცა მიზეზი აქაურსა და ლიონის მკვლელობას შორის სულ სხვა-და-სხვაა, მაგრამ როგორც იქ, ისე აქ დამნაშავეთ სამართლიან გრძნობის ნაკლებობა ემჩნევათ და გამწარებული საზოგადო წეს-წყობილების გამო ჯავრს იყრიან სრულიად უმანკო და უბრალო ადამიანზედ.

აი სადა სჩანს უვარგისობა აღზრდისა, სადა სჩანს ზნეობრივის სწავლის გავლენის სიმცირე და, უკანასკნელ, გაუგებრობა თვისის და სხვისის უფლებისა! ყოველს ამას ნათლად დაინახავთ, თუ ჩაუკვირდებით თითოეულ დამნაშავის სულის მდგომარეობას, თუნდა ამ დამნაშავემ ლათინურიც ჩინებულად იცოდეს, ბერძნულიც, მითოლოგიაცა და სხვა.

სასწავლებელს, და ნამეტნავად ჩვენსას, ერთი რამ უპირველესი აკლია, ურომლისოდაც უქმია განათლება და მეცნიერება მთელის ქვეყნისა. ეს არის შესწავლა ადამიანის ბუნებისა და იმ ბუნებისაგან ისეთ თვისებათა შემოცლა, რომელიც ჩვენ ველურ წინაპართაგან შთამომავლობით გვაქვს გადმოცემული.

ასეთის მემკვიდრეობით არის გადმოცემული ის „მხეცი“, რომელიც ცოტად თუ ბევრად ჰზის თითოეულს ადამიანში. აი აქ არის საჭირო, რომ საზოგადოებამ საფუძვლიანი ბრძოლა გაუწიოს ამ „მხეცს“ და უვნებლად გაჰხადოს იგი ხალხის წარმატებისა და ბედნიერებისთვის.

რაც შეეხება იმას, რა გვარად უნდა დაწყნარდეს ეს „მხეცი“, ამის გამო მშვენიერი პასუხი მოიპოვება სახარებასა და აგრეთვე მთელს სოციოლოგიურ მეცნიერებაში, რომლის ასპარეზი სულ უფრო და უფრო ფართოვდება ამ ბოლოს დროს.

მეველე

## დეპეშა

5 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია: 1) განკარგულება, რომ კვლავ მოქმედებაში იყოს წესები სახელმწიფო ბანკის მიერ რკინის გზათა მიერ პურზედ სესხის გაცემის შესახებ და 2) იმის გამო, რომ შეცვლილ იქმნას წესები საბანკო დაწესებულებათა და რომ 15 აგვისტო ევროპიის რუსეთსა და 15 ოქტომბერი 1894 წლ. დანარჩენს ადგილებში ვადად დაინიშნოს, რომლის განმავლობაშიაც საბანკო დაწესებულებათ, კანტორებმა, რომელთაც მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებანი არა აქვთ, და აგრეთვე ზარაფხანების პატრონებმა უნდა გამოუცხადონ გუბერნატორებს, რა ოპერაციები აქვთ.

ფინანსთა მინისტრმა ბრძანება გასცა დაინიშნოს განსაკუთრებული კომისია იმ გარემოებათა გამოსაძიებლად, რა გარემოებაშიაც დაიღუპნენ რუსეთის საზოგადოების ხომალდი „ვლადიმირი“ და მოგზაურნი შავ ზღვაზედ. კომისიას დავალებული აქვს: 1) რამდენად შეესაბამებოდა უშიშრად სიარულს შინაგანი წეს-წყობილება „ვლადიმირის“ სამსახურისა და 2) გაცნობილ იქმნას, საზოგადოდ როგორ არის მოწყობილი საქმე და მოწყობილი სამსახური ყველა საქონლისა და ფოსტა-ხალხის მატარებელ ხომალდებისა, რომლებიც-კი შავსა და აზოვის ზღვებზედ დადიან, რათა დადგენილ იქმნას მოგზაურთა დაღუპვისაგან უზრუნველ-მყოფელი საზოგადო წესები.

**სოფია.** სათემო არჩევანების დროს ვარნასა, სლივნასა და თათარ-ბაზარჯიკში საერო დასის კანდიდატები იქმნენ ამორჩეულნი.

**სტამბოლი.** მიწის ძვრისაგან 200-მდე კაცი დაიღუპა; ქონებრივად სტამბოლს სამოც მილიონ მანეთამდე ზარალი მიეცა; მცხოვრებლები უმეტესად ქალაქ გარედ სცხოვრობენ; ქედივი თავისს (ეცხლის გემზედა სცხოვრობს.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ოთხშაბათს, 6 ივლისს, უბედურად განსვენებულის პე-

## ფელეტონი

**ენერგია გ. აკლია**

(ხალხის გულშემატკივართა საყურადღებოდ)

აი დადგა ივლისი და წითელ-ყვითლად ჰღუიან სულადის ხვავები კახელ-ქიზიყელთა კალოებში, მაგრამ წურბელა მოვაჭრე-მოვახშეების გასახარად: მიუყენებიათ საცალო-ტომრები და სჩაფავენ და სჩაფავენ ორლიტრიანის ჩანახებით, და მერე ეცით რა ფასად?—კოდს მანათად პურს და ათ შაურად ქერს, ასე რომ ფუთი 25 კ. პური უჯდებათ და 15 კ. ქერი. უეჭველია გაკვირვებით იკითხავთ: რად აძლევენ ასე მუქთად, თივა-ბზეზედაც-კი იაფადაო?! იმიტომ, ბატონო, რომ ნათქვამია: გაჭირებამ ოქრო რკინის ფასად გამაყიდვინა და ძაღლის ხორცი მაჭამაო. ხალხის სულთამხუთავ ვაჭარ-მოვახშეებმაც კარგად იციან ეს „მეცნიერება“ და ამიტომაც ახალ მოსავლის წინადვე აძლევენ ფულს თუ სხვა-და-სხვა ნაყარ-ნუკარ სავაჭროებს უანგარიშო გაჭირვებულებს და ამ გვარად ბზე-თივასაც იაფად იკვეთავენ წინა დღითვე სულადსა და ღვინოს მოხერხებულის ბარათ-თამასუქებით. რომ გამოვიანგარიშოთ, ამ ნაირ, აღებ-მიცემობისაგან რჩებათ ვაჭარ-მოვახშეებს 300% ანუ ყოველ თითოეულ მანათზე სამი მანათი სარგებელი სულ რამდენისამე თვის განმავლობაში!..

არა, ვიდრე ყოველ სოფელს თავის საზოგადო საალებ-მიცემო დეპო ბანკი არ ეღირსება ინტელიგენციის რჩევა-დახმარებით და მეთაურობით, მინამდის ყოვლად შეუძლებელია ხალხის გონება-ქონებით ერთობ წინწაწევა. ანკი როგორ, საიდამ და რა გზით შეიძლება ხალხის ერთობ დაწინაურება, როდესაც მის გონება-ზნეობის წინ-წამყენებელ ქონებითს ძალას უთვალავნი მგელკაცნი გაუმაძღრად იყრიან და იყრიან ჯიბემუცელში დღე-მუდამ წლითი-წლობამდის... აი სად იმალება ხალხის სილატაკის მიზეზების უმთავრესი მიზეზი.

დიაღ, ჩვენის ერის ცხოვრების უმთავრესი ჭირ-ვარამი იმისივე ცხოვრების უმთავრესი ძარღვიდგან მომდინარეობს, და ეს უმთავრესი ძარღვი მისი ყოველ-დღიურ ფულ-ნივთის აღებ-მიცემობაა, რომელსაც სათავიდამვე ეჭირება ისეთი წამლობა, რომ მთელი ერი განურჩევლად წოდებისა—სიმართლიანი აღებ-მიცემობის კამკამა წყაროს ეწაფებოდეს წლით-წლობამდის და მის წყალობით იმ მილიონებს, რომელთაც დღეს კერძო მოვაჭრე-მოვახშეები მიარბენინებენ ათას გვარის ვერაგობით, თვით მისი დამბადებელი ერივე ინარჩუნებდეს გონივრულად მოწყობილ საერთო აღებ-მიცემობის ძალ-მადლით თავის გონება-ქონების ასაყვავებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ინტელიგენცია ამ ცხოვრების უმთავრეს ძარღვს—აღებ-მიცემობას არ აქცევს ისეთს განსაკუთრებულს ყურადღებას, რომ მთელი მდაბიო ხალხის საყოველთაო კეთილდღეობისათვის იყოს იგი გამსჭვალული და თავ გამოდებულ საქმე-მოქმედებაში იჩენდეს ხალხისადმი გულშემატკივრულ მზრუნველობას.

მაგრამ ამას ვინღა იჩივლებდა, გონება-უკულმართნი კაცუნები მაინც რომ არ უშლიდნენ ხელს უკუნური მეტიჩრობით ხალხის წარმატების რომელსამე ახალ საქმეს. მოჰკრავენ თუ არა ყურს სახალხო—საკეთილო აღებ-მიცემობის სადმე დაარსების სურვილს, თვალის დახამხამების უმალ გამოძვრებიან თავიანთ სოროებიდგან მდაბიო ხალხის ცხოვრების უვიცნი და გონება-უბადრუკნი და მოჰყვებიან რაღაც პიროვნულის შურ-ღვარძლით სავსე ბოღვს ჯაგლაგ მეცნიერის მედიდურობით: რას მიედმოედებით, მაგგვარი დეპო-ბანკები არ ივარგებენ ხალხშიო. რატომ, რა მიზეზით არ ივარგებენ, ამისას-კი მთელ თავისს სიცოცხლეშიაც ვერ მოგცემენ ღრმა-საფუძვლიან პასუხს, ვერ მოგცემენ იმიტომ, რომ გონება-უბადრუკი მეტიჩარა ყოველთვის თითო-ოროლა შემთხვევაზედ ამყარებს თავის ჭკუამოკლურ „გამოკვლევას“, მაგალითად: თუ ნახა მგელი ცხვარსა სჭამს და მეზვრე ყურძენს იპარავს—მოჰყვება ყვირილს: დიდი სისულელეა ოთხ ფეხ საქონლის და ვენახ ბაღების მოშენება სხვის საჭმელადო!.. და წარმოიდგინეთ, ასეთი გონებადაგვალული მყვირალა კვერის დამკვრელ ამქრებსაც-კი პოულობს, რომელთაც თავიანთ ნაცარქექია „ბელადივით“ სულაც არა გაეგებათ-რა იმისი, თუ მდაბიო ხალხის გონება-ქონების სილატაკე ცხოვრების რომელ ძარღვიდამ მომდინარეობს და რომელი ღონისძიება უფრო ადრე

ტრე ვსევოლოდის ძის კორშის გვამი მიასვენეს კუკიის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში. აქ ანდერძი და წირვა გადაიხადეს და შემდეგ მიიტანეს ცხედარი იმ ადგილას, სადაც იგი შეუბრალებლად იქმნა მოკლული, და აქ პანაშვიდი გადაუხადეს. შემდეგ წაასვენეს კუკიის მართლ-მადიდებელს სასაფლაოზედ, სადაც იგი დაკრძალულ იქმნა. განსვენებულის დასაფლავებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის მთავარ მართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი, ტფილისის გუბერნატორი თ. შერვაშიძე, პოლიცმეისტერი, რკინის გზის მმართველობის უფროსნი მოხელენი, ყველა სადგურის უფროსები და მრავალნი მისნი პატივისმცემელნი. დიდძალი დაფნისა და ვერცხლის გვირგვინები იყო სამს სამგლოვიარო ეტლზედ. ამ დღეს რკინის გზის სამმართველოს მოხელენი დათხოვნილნი იყვნენ საყვარელისა და დიდად პატივცემულის უფროსის თანაშემწეს დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

⁂ 6 ამ თვეს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნული იყო გასასყიდად ხელ-მეორე ვაჭრობით სოფლისა და ქალაქის მამულები, რომელნიც პირველ ვაჭრობის დროს 20 და 21 ივნისს ვერ იქმნენ გასყიდულნი. სულ იყო დარჩენილი გასასყიდად 6 სოფლის მამული და 3 ქალაქისა, ხოლო, რადგან ზოგიერთ მამულის ხვედრი გარდასახადი შემოტანილ იქმნა, ვაჭრობაში ჩავარდა 4 სოფლის მამული და 1 ქალაქისა, აქედგან გაიყიდა 3 სოფლის მამული და დარჩა ბანკს გაუყიდავი 1 სოფლის მამული და 1 ქალაქისა.

⁂ ქუთაისის მაზრის ერთ მემამულეთაგანმა ამ ხუთის თვის წინად ბ-ნს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ბ-ნს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მიართვა თხოვნა, რომელშიაც სთხოვდა დახმარებას ს. კულაშში სახელოსნო სკოლის დასაარსებლად, რადგანაც წარსულს ზამთარს გამოვიდა დებულება ,,ხელოსანთა მოწაფეთათვის სამ-კლასიან სასწავლებელთა" შესახებ, ს. კულაში რკინის გზის სადგურ სამტრედიადგან 3 ვერსის მანძილზეა და ყველაზედ მეტად არის დასახლებული. სხვათა შორის ეს თხოვნა იმ მიზეზმაც გამოიწვია, რომ კულაშში მოსახლობს 12 ათასი კაცი, რომელთა შორის 1300 კომლი გლეხ-კაცია და 150 კომლამდე აზნაურობა, მიწის ნაკლებულობის გამო დიდად შევიწროებულნი და დაღარიბებულნი არიან და სრულიად არა აქვთ საშუალება რაიმე სწავლა მისცენ მოზარდ თაობას. ამ მემამულეს ხელოსნობისა და სოფლო მეურნეობის სწავლა მიაჩნია ნამდვილ საშუალებად, რომ მიეჩვივნენ ფიზიკურს შრომას როგორც გლეხ კაცთა ისე აზნაურთა შვილები, რომელთა უმეტესი ნაწილი სრულიად მოკლებულია სწავლას და რომელნიც მერმისში ბევრს შეწუხებას მიაყენებენ როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრაციას. როგორც გაზ. ,,Нов. Обоз."-ს გაუგონია, ადგილობრივ მთავრობას ამ საქმის გადაწყვეტა მიუნდვია მაზრის უფროს სოკოლსკისთვის. ს. კულაშს ამ სასწავლებლის დაარსების საქმეში ეჯიბრებიან სოფ. სამტრედია, ხონი და ჯიხაიში.

⁂ ბევრის მეცადინეობისა და გამოცდის შემდეგ ახალგაზდა ქართველს, ალექსანდრე აბაშიძეს, გაუკეთებია ნავთის ტალახისა და ქონისაგან სარეცხისათვის სახმარებელი საპონი. ჩვენ ვნახეთ ეს საპონი. იგი მოყვითანო ფერისაა, თითო ნაჭერი თითო გირვანქას იწონს და ნავთის სუნი სულ არ ეტყობა. ამ საპნისათვის გასაკეთებელ ქარხნის გამართვა სულ მცირე რამ დასჯდებათ. უნდა შევნიშნოთ, რომ ნავთის ტალახისაგან საპნის გაკეთების ცდას ბევრნი ადგნენ და სხვათა შორის მენდელეევი და ბუტლეროვიც ჰმეცადინეობდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყეს, ყოველნაირი ცდა და შრომა ფუჭად ჩასთვალეს და სამუდამოდ გამოეთხოვნენ საპნის გაკეთების სურვილს. უკანასკნელ-კი სხვაფერ მოეწყო ნავთის ტალახის საქმე და ბ-ნ აბაშიძემ შეიძლო და მოახერხა რიგიანი საპნის გაკეთება. დღეს აბაშიძე ტფილისში სცხოვრობს და ეძებს ისეთ კაცს, რომელიც იკისრებს საპნის ქარხნის გაკეთებას და მუშაობის დაწყებას. მთლად ამ საქმის მოწყობას რამდენიმე ასი მანათი ეყოფა.

⁂ ვიცე-დირექტორი მთავარ-მართებლის კანცელარიისა დ. ს. ს. მიცკევიჩი კისლოვოდსკს წავიდა.

⁂ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მოსვლია სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველოდგან შემდეგი დეპეშა: რადგან ხოლერა უკვე გაჩნდა, დაუყოვნებლივ შეადგინეთ სასანიტარო კომისიები, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ სენის მსვლელობას და თუ ხოლერა გაჩნდა სადმე, ან ახლო-მახლო, ან თქვენს გზაზედ მაშინვე იხმარონ იმის წინააღმდეგ ჯეროვანნი საშუალებანი, აღნიშნულნი გზათა მინისტრის 21 აგვისტოს 1893 წლ. მე-12,287 №-რის ბრძანებაში.

⁂ ბრეთი (გორის მაზრა): აქეთკენ, სახელდობრ, წვერსა, არადეთსა და საღოლაშენში გაჩნდა ერთგვარი საქონლის ჭირი, რომელსაც თურქულს ეძახიან. საქონელს მუწუკს აყრის პირში და უწყლულებს ჩლიქებს იქ, სადაც ნუნებია. საქონელი ვეღარც დადის და ვეღარც საჭმელს სჭამს. ამის გამო ხშირად ვეღარ უძლებს ასეთს ავადმყოფობას და უჭმელ-უსმელობით ბოლოს ეღება. არადეთში რამდენიმე სული საქონელი მოკვდა კიდეც თურქულით. ვერ წარმოიდგენთ, რა გაჭირვებაში არიან სოფლელნი, რომელთაც ამ დროს მოასწრო საქონლის ჭირმა. საქონელია ფარი და ხმალი გლეხკაცობისა, მარჯვენა ხელი მისი. ჭირნახული, მზა-მზარეული მოსავალი კარს მომდგარია, მოვლა უნდა და ყოველ ამას-კი უსაქონლოდ არ მოევლება. თუ ერთ-ორ კვირაზედ მეტს ხანს გასტანა ამ ჭირმა, დიდი ზარალი მოუვათ ჩვენებურ სოფლელებს.

⁂ სოფ. ყაზბეგი (დუშეთის მაზრა): განსვენებული ალექსანდრე ყაზბეგის საფლავი, რომელიც აქაური ეკკლესიის გალავანში ასაფლავია, ჯერაც ისევ ისე მოუვლელად არის. მხოლოდ ზედ საფლავზე მისის ნიჭის პატივისმცემელთაგან მირთმეული გვირგვინები აყრია წამხდარი და გაჭუჭყიანებული. ნუ თუ ეს გვირგვინები ასე უყურადღებოდ უნდა დავაგდოთ. ერთი თავშესაფარი ვერ უშოვნიათ ამ გვირგვინისათვის, რომ ცოტა ხნამდე მაინც შენახულიყო, გამვლელ-გამომვლელს დაენახათ, თუ რა გვარი პატივისცემა სცოდნიათ ქართველებს, მისთვის თავდადებულ კაცთათვის. სხვა არა იყოს-რა ეკკლესიაში მაინც შეეტანათ, როგორც საზოგადოდ არის წესად მიღებული.

⁂ ს. ბალთა (თერგის ოლქი) ამ სოფელში ას კომლამდისაა ქართველობა მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა, მაგრამ აქამდის არც მღვდელი ჰყავთ და არც ეკკლესია ჰქონიათ. კავკავიდგან 12 ვერსის სიშორეზე მოჰყავდათ რუსი მღვდლები და იმათ აწირვინებდნენ, თუმცა ენაც არ ესმით რუსული. ეხლა-კი, ღვთის შემწეობით, როგორც იყო ქართველ მღვდელს ეღირსნენ აქაურები და იმედია ქართულ წირვა-ლოცვასაც ჩქარა მოისმენენ.

⁂ სოფ. საღოლაშენი (ქართლი): ამ სოფლის მემამულემ თ. სარდიონ ამირეჯიბმა განიზრახა ერთი ფრიად კეთილი საქმე: გადიდება აქაურის ეკკლესიისა, რომელიც ძლიერ პატარაა და ამიტომ ვერ იტევს დიდს უქმე-დღეებში წირვა-ლოცვის მოსმენის მსურველთ. ნებართვა ეგზარხოსისა უკვე აღებულია, საჭირო ფულიც ზოგი მოკრეფილია ამისთანა საქმისათვის წვლილის შეწირვის მსურველთა შორის, ზოგი თვით მემამულისა და ეკკლესიისა და ზოგი კიდევ მოსაკრებ-მოსაბოჭველია. ოსტატები ამზადებენ უკვე მასალას, თლილს ქვასა, ქვიშა-აგურსა და, მოვა თუ არა ეკკლესიის გადაკეთების გეგმა, შედგენილი სასინოდო კანტორის ხუროთ მოძღვრის მიერ, მუშაობას მაშინვე შეუდგებიან. დასავლეთის კედელი უნდა გამოინგრეს, სიმატოს, რაც მისამატია, და მერე ზედ დაიდგას პატარა სამრეკლოც. ამ საქმეს უნდება სულ 700—800 მანეთამდე.

⁂ ფოთი: წელს იანვარში ჩვენმა სამოქალაქო საბჭომ გადასწყვიტა, რომ ნოქრებს ნება მისცემოდათ კვირა-უქმე დღეს შესვენათ და სავაჭროები დაკეტილი ყოფილიყო კვირა-დღეობით დილის 11 საათიდგან. ეს გარდაწყვეტილება საბჭისა დამტკიცებულ იქმნა ჯეროვანის მთავრობისაგან, მაგრამ ნოქარნი მაინც ვერ სარგებლობენ მათდამი მინიჭებულის თავისუფლებით. ეს იმის გამო ხდება, რომ ჩვენის ქალაქის გამგეობაში ბევრნი არიან ვაჭართაგანი, რომელთაც ეს გარდაწყვეტილება არაფრად ეპიშნიკებათ. ვისურვებთ, რომ ჩქარა მოხდეს ახალ ხმოსანთა არჩევანი და ქალაქ ფოთის გამგეობამ უფრო სამართლიანად შეჰხედოს ამ საქმეს, ვიდრე ეხლა. („Н. О.")

## კორესპონდენცია

**დ. ზუგდიდი,** 6 ივნისი. სულიწ-ს მოსვლის დღეს ჩვენში თარგამულობა იციან. იშვიათია, რომ აქ რაიმე ცუდი ამბავი არ მოხდეს, რადგან დიდძალი ხალხი იკრიბება სხვა-და-სხვა სოფლიდგან და უფრო ბლომად საათხაზეთოდგან; ამათში უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურია. წელსაც დიდი ხალხი იყო თარგამულში, მაგრამ დღესასწაულმა მშვიდობიანად გაიარა, თუმცა მთვრალი ხალხი ბევრი იყო და ჩვეულ ბრივს ცხენის ჯირითობას ბოლო არა ჰქონდა.

ჩვენში ცხენის ჯირითობა ძლიერ გავრცელებულია და ამასთან ერთად ესრედ წოდებული „აფსუანი". რაც უფრო დრო მიდის, იმდენიც ცხადდება მათ შორის სხვა-და-სხვა მადონის ყაბარდულები. მაგის მეტი რა აქვთ საქმე? რაცა ხვნეს, არცა სთესვენ, მუდამ ცხენზედა სხედან და, რასაკვირველია, რამდენად ადამიანი მუყაითად მოექცევა რომელსამე საქმეს, იმდენად ხელოვნდება და ვარჯიშდება ამ საქმეში.

ამ ჯარში ერთის თაოსანის განკარგულებას ემორჩილებიან, ყველა მაყურებლები იმის ირგვლივ დაამწკრივებენ ცხენოსნებს, ისე რომ შუა გულში დარჩეს 40—50 საჟენამდე. შემდეგ გამოიწვევენ ერთი მეორეს, მაგრამ პირველად ისინი, რომელთა ცხენებსაც ტოლი არა ჰყავს.

განსაკუთრებით წელს გაიმართა ჩვენში შესანიშნავი ჯირითი. არა მგონია, რომ მაგნაირი თვალსაქციელო და საყურადღებო ცხენის თამაში სადმე გამართულიყოს. ჯერ ისე გარბოდნენ თითოეულად შუაგულში ყაბარდულით, მერე-კი ერთმანეთს შეეჯიბრნენ, მაგრამ იყო ისეთი ცხენებიც, რომლებიც ერთ საჟენზედ არა ნაკლებ იწევდნენ ზევით და მერე თავისუფლად ძირს ეშვებოდნენ. თუ გაუვრთნილი კაცი არ იყო, თავს ვერ დაიჭერდა და მიწას პირდა-პირ ეცემოდა. მაგრამ, რადგანაც

---

და მალე დაჰშრეტავს სათავეშივე იმ სიღატაკის მიზეზებს.

ზოგიერთნი აქ ვაჟბატონებთაგანნიც ხშირად იმ უანგარიშოდ გამეორებულ ჭეშმარიტებას იმეორებენ: ხალხს მხოლოდ სწავლა-ცოდნა და მეურნეობის გაუმჯობესობა უშველისო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს ხომ სწორედ იმასა ჰგავს: უკრომ-ფულო ავადმყოფი უწამლობით კვდებოდეს და გულ-დამშვიდებული მეზობელი-კი მარტო ცარიელი სიტყვით ანუგეშებდეს: ნუ გეშინიან, ვეჟო, წამალი გიშველისო!.. სწავლა-ცოდნის შეძენასაც და მეურნეობის გაუმჯობესობასაც წამალი უნდა და მათი წამალიც ქონებაა, და მერე ამ ქონებას ვინ მისცემს იმ ხალხის გაღატაკებულ უმრავლესობას, რომელიც ათას ვალსა და გაჭირვებაში იხრჩობა დღე და ღამე თავის დამღუპავ ალებ-მიცემობის მიზეზებით და ბევრს იმათგანს ორი შაურიც-კი არ მოეპოვება მომაკვდავს ავადმყოფს წამალი უყიდოს. არა, ბატონებო, ჯერ ადამიანს კუჭის საზრდო და საჭირო იარაღი მიეცით, და მერე ასწავლეთ და ამოქმედეთ. და თუ გულ-მხურვალედ გნებავსთ, რომ მთელმა მდაბიო ხალხმა სწავლა-ცოდნა შეიძინოს და მეურნეობაც გაიუმჯობესოს, ჯერ ისეთი დაუშრეტელი წყარო სამოქმედო ცხოვრებისა აღმოუჩინეთ ხალხს, რომ იმ ცხოვრების წყაროს ძალ-მღონით ყველას შეეძლოს სწავლაც შეიძინოს შვილებს, ცხოვრებაც განიკარგოს, მეურნეობაც გაიუმჯობესოს და სხვა ათასი კეთილი საქმეც მოიმოქმედოს. და აბა რითი აღმოუჩენთ ხალხს იმაზედ დიდსა და დაუშრეტელ წყაროს სამოქმედო ცხოვრებისას, თუ არა ყველა სოფლებში ისეთი საერთო ფული-ვეჯის ალებ-მიცემობის დაარსებით, რომლის წყალობით ხალხს თავისი მონაგარი სიმდიდრე თითონვე ჰრჩებოდეს და აღარ ეცლებოდეს ხელიდამ უანგარიშო მყვლეფავებისაგან.

განა დღეს ჩვენ ცოტანი გვყავნან სხვა-და-სხვა წოდების მცოდნე-ნასწავლი კაცები, რომელთაც ცოტად თუ ბევრად წესრიგიანი მეურნეობისაც გაეგებათ რამ, მაგრამ ვინ არ იცის, თვით ეს მცოდნე კაცებიც-კი დღევანდელ ალებ-მიცემობისაგან იცარცვებიან და იღუპებიან. მოიგონეთ, რამოდენი საშუალო და მაღალის წოდების ოჯახი დაუღუპავს მოვახშეების უსულმერთო სარგებელ – ,,ნეუსტოიკებს" და წურბელა ვაჭარ ჩარჩების ყლუფა-კრეჭას. ან-კი რომელ ნასწავლს დავასახელებთ და ვინ იქნება დღეს ჩვენში ისეთი ქუდ-ბედიანი, რომელიც ვერაგი ალებ-მიცემობისაგან არ იყვლიფებოდეს ყოველ-დღე წლით-წლობამდის? აბა, სწავლა-ცოდნის მქონე კაცებსაც-კი ვერა გაუწყვიათ-რა დიდის ხნიდგანვე გამგელ-კაცებულ ალებ-მიცემობის წინაშე და ერის უვიცი უმრავლესობა რაღა დღეში იქნება იმავ გამგელ-კაცებულ ალებ-მიცემობისაგან ყოველ-დღეს, ყოველთვეს და ყოველ-წელიწადს?!. ერთის სიტყვით, გამოდის, რომ სწავლა-ცოდნაც-კი ვერ გვიფარავს გამგელ-კაცებულ ალებ მიცემობისაგან და მგელი ერთნაირად გვჭამს ნასწავლსაც და უსწავლელსაც და ვერას გზით ავიცილებთ მგლებს, თუ არა ერთობის ძალით. დიაღ, ბატონებო, აწინდელ ერის დამღუპავ ალებ-მიცემობის ძირიან-ფესვიანად შეცვლაშია ხალხის ხსნა, ხალხის ქონებრივი და გონებრივი წარმატების დიდი დასაწყისი და აი ამიტომაც ამ ცხოვრების უმთავრეს საქმეს უნდა მივაქციოთ კიდეც ყველამ უმთავრესი ყურადღება.

თუ მკითხველს მოეხსენება „ჩვენი უთავბოლობა", რომელშიაც ამ ორის წლის წინად შეძლებისა-და გვარად ავწერე დღევანდელი ჩვენის გლეხკაცობის ეკონომიური ყოფა მდგომარეობა, ყველა წოდება-სამსახურის კაცთა და მდაბიო ხალხის ურთიერთული დამოკიდებულება, განწყობილება, ზნე-ხასიათი და სხვანი, ბოლოს იქვე ვამბობდი: ეხლა მაინც ვეცადოთ ძმურის ერთობის უძლევთა ძალითა ძლიერებით და მცოდნე კაცთა რჩევა-დახმარებით ყველა სოფელმა დაიარსოს თავის საზოგადო საკუთრებად ისეთი ყოველგვარ ალებ-მიცემობის სახალხო დეპო-ბანკი, რომელიც კი სოფლის ალებ-მიცემობის რამდენსამე ასსა და ათას თუმან მოგებას—რომელსაც დღეს სხვანი იჯიბავენ — სოფელსავე დაუნარჩუნებს ყოველ-წლივ ბევრგვარ საკეთილო-საზოგადო საქმის დასაბადებლად და ქვეყნის ქონება-გონების გასამდიდრებლად-მეთქი.

ამ აზრმა ბევრნაირი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დღევანდლამდის. ურწმუნო თომანი და „ჭამის ოსტატები" დღესაც გაიძახიან: „მაგისთანა დეპო-ბანკებს ხომ შიგ-მყოფნივე შესჭამენო". „რას ბრძანებთ, ბატონო, — ეუბნებით; მგლის შიშით ქვეყნის მაცხოვრებელი ცხვარი ვის დაუწყვეტნია, და ან რა სათქმელია, სთქვას ვინმე: ნურავინ მოაშენებთ საქონელსა და ვენახ-ბაღებს, თორემ მგელი, მწყემსები და

ყველანი მცოდნენი და დახელოვნებულნი იყვნენ, ამ ნაირი ხიფათი იშვიათად მომხდარა.

თუმცა ამ ჯარალობაში უთვალავი ხალხი იყო: მეგრელებიცა, თავადებიცა, აზნაურებიცა, მტრიანიცა და უმტროცა, მაგრამ არაფერი უწესოება მომხდარა.

მხოლოდ როცა ხალხი დაიშალა და წ ვიდ-წამოვიდა, გზაზედ ორმა ახალგაზდა ყმაწვილმა ცხენი გააჭენა. ეს დაინახა თუ არა მესამემ, თადო ჩიკვატიას შვილმა ნიკომ, გაექანა მათკენ მოთარჩიეს დასაჭერად. მიუახლოვდა თუ არა მოთარჩიეს ერთი საჟენის სიახლოვეზედ, პირველმა სწრაფად გამოაბრუნა ცხენი, რომელიც უცაბედად ეტაკა ჩიკვატიას ცხენს. ჩიკვატია ცხენიდგან გადავარდა, ეცა კისრით ქვიან ალაგს და საფეთქლიდგან სისხლი წასქდა. პირველნი კი დარბოდნენ და ერთმანერთის ჭერაში იყვნენ გართულნი. ბოლოს მამაც მოესწრო და იმათაც შენიშნეს, მაგრამ არ იცოდნენ რა მომხდარიყო.

ის ეგდო საწყალი სულ განაბული მკვდარ-ცოცხალი: საჩქაროდ მოიტანეს წყალი და დაასხეს, მ გრამ ამაოდ. შემდეგ წაიყვანეს ქ ლაბერით ერთს მოსახლობაში და იქვე დააწვინეს.

საწყალს არ ამოუსუნთქია შუაღამემდის. ამ გვარად იავადმყოფა ხუთს დღეს და მეექვსე დღეს სული დალია.

ი. ხუნწარია

---

**ს. შინდისი** (ქართლი). ჩვენი ქვეყანა ხშირს დასეტყვას არის დაჩვეული და როგორც რომ ცაზედ აირევიან ღრუბლები, მაშინვე ყველა მხვნელ-მთესველთ და მემამულეთ გული დაგვიწყებს კანკალს და თუ ცოტაოდენი სხვილი შხაპუნა წვიმა დაიწყო, მაშინ ხომ მოვყვებით ზარების რეკას, ასე გვგონია რომ ამ ზარის რეკას გაიგონებს თუ არა სეტყვა, მაშინვე შეშინებული შეჩერდება და გადავრჩებით აოხრებასაო. წრეულს სამჯერ იყო სეტყვა ამ ჩვენს მხარეს და ზოგიერთი სოფლები საკმაოდ წაახდინა. მაგრამ შინდისი და მის ახლო მდებარე სოფლები, პურის მოსავლის ბუდე, ჯერ ჯერობით, ღვთის მადლით, გადარჩენილია ამ უბედურებისაგან. ყანები ძალიან სანაქებოდ არის, ვენახებს არ გვისხია და ხილს-კი თუმცა ასხია, მაგრამ ვაშლს მატლი გაუჩნდა და ისეთ ნაირად აქვთ გაბმული ბადეები, რომ კაცს ასე ეგონება, ხეებს ბამბა მოუსხამთო. მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან გულ-მხიარულად ვართ, რაკი ყანები კარგი გვაქვს, ოღონდ პური ბლომად მოგვივიდეს და ულვინობას და უხილობას ადვილად გაუძლებთ.

ძველი მოხელეები ისე სიმართლეს არ ეძებდნენ, როგორც ქრთამს და ლოთობას. გამოიცვალა თუ არა ძველი მამასახლისი და მოსამართლენი და, ახლად შემოღებულის წესით-აღმორჩეულ იქმნა მამასახლისად მთელი თოთხმეტის სოფლის მიერ ბ-ნი მაჭავარიანი, მაშინვე სოფლელებს ცოტაოდენი ცვლილება და სწორე გზაზედ სიარული დაეტყოთ. იგი უქადაგებს ხალხს კეთილსა, და სიმართლეს და სდევნის ყოველგვარ ბოროტებასო.

გამოიცვალა თუ არა ძველი მამასახლისი და იმისი მოსამართლეები, მაშინვე შინდელებმა სთხოვეს ახალ მამასახლისს, რომ გადაყენებულებს ანგარიში მოსთხოვეთ წარსულის წლებისაო. ძველი მამასახლისი ამ საქმეს ძალიან შეუშინდა, მაგრამ სოფელმა მაინც სამი კაცი აღმოარჩია მოანგარიშედ და ამ სამმა კაცმა წარსულის წლის ნოემბრიდგან დაწყებილი სწორედ დღემდის სდია ამ ძველს მამასახლისს და რის ვაი-ვაგლახით გაუთავეს საქმე, დააკისრეს შვიდი თუმანი და მაშინვე გადაახდევინეს კიდეც. ხალხმა კიდეც სთხოვა ახალ მამასახლისს ძველის მწერალის დათხოვნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს გაიძვერა ისევ თავის ბინაზედ იმყოფება და ასრულებს თავისს საქმეს. წინანდელ მოხელეებთან როგორც უნდოდა, ისე აწარმოებდა მთელი ქვეყნის საქმეს და არავის ეპუებოდა. ამის ხელთ იყო მთელი სოფელი, სოფლის კასსა, სოფლის გასავალ-შემოსავალი და სხვა. თუ ცა მაგდენად არა იცის რა, მაგრამ ჩვენ მდაბიო ხალხს დიდი ნასწავლი ჰგონია და თუ ვისმე რამე დასჭირდება, ამასთან მიდიან. ან კი სად წავიდნენ?

ჩვენი კასსა შეადგენდა მხოლოდ ცარიელ პატარა თუნუქის ყუთს თავისის ყვითელის პატარა თითბრის კლიტით და შიგ კი თავის დღეში არა ჩადებულა-რა, თუმცა ძალიან ბლომად შემოდიოდა ჯარიმა.

ახლა მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას იმის შესახებ, რა ოსტატობას ჰხმარობენ საზოგადოდ სოფლის მწერლები, იმ უბედურ გლეხებთან, რომლებიც ოცის წლის შესრულების დროს იწერებიან საგლეხო სამსახურში მისაწვევ სიებში. როგორც სოფლის მწერლები, რასაკვირველია, იციან ვინც არიან ჩაწერილები და ამ უბედურებს უცხადებენ, რომ ჯარის-კაცადა ხართ ჩაწერილები და თუ გვთხოვთ, დაგვასაჩუქრებთ, ხომ გადაგარჩენთ, თუ არა-და უნდა უსათუოდ წახვიდეთ ჯარის კაცადა. ეს უბედური გლეხები, რასაკვირველია, იღებენ ვალს ჰყიდიან, თუ რამე აბადიათ, და აკმაყოფილებენ ამ ადამიანის შემწეთა და მხსნელთ, მაგრამ ეს იმათ არასა ჰშველის და ან-კი როგორ უნდა უშველოს? თუ საშველი აქვს რამე, თითონ კანონი და საკრებული ანთავისუფლებს და თუ საშველი არა აქვს რა, ეს როგორ უშველის, მაგრამ გლეხებს-კი ჰგონიათ, რომ უსათუოთ გვიშველისო. მიდიან გლეხები საკრებულოში, იღებენ კენჭს, თუ არ შეხვდათ, ხომ კარგი და პატიოსანი, სოფლის მწერალმა უშველა, თუ შეხვდათ და ეუბნებიან, რომ ბევრს ვეცადეთ, ქვეყანა გადავაბრუნეთ, ჩვენი ფული ზედ დავაყარეთ, მაგრამ ვერა ეშველა-რა ამ საქმესო. ასე რომ შეხვდებათ, მაინც ფული აღებული აქვთ და რაღას დაუბრუნებენ, არ შეხვდებათ-და უფრო მომეტებულს ართმევენ და ორ ნაირად სარგებლობ ნ. ამ რიგად ხმა გაუვარდათ, რომ ყველას იხსნის სამხედრო ბეგარისაგან. ეხლა ორმა კაცმა უჩივლეს ამ საგნის შესახებ ჩვენს მწერალს ახალ მამასახლისთან და არზები მიართვეს, რომელშიაც სჩივიან, რომ ფული გადაგვახდევინა და კი არა გვიშველა რაო; სთხოვენ, რომ ფული მაინც უკან დაგვიბრუნოსო. ეს მჩივრები არიან ერთი ბებერი დედაკაცი, ქვრივი სალომე ბაბიაშვილისა, რომლის შვილი ჯარის-კაცად იმყოფება გორში და მეორე გლეხი პავლე მაკარაძე, ესეც ჯარში გაჰყავთ, აგერ სამი წელიწადია. მოჩივრები ბევრნი გამოჩნდებიან, რადგანაც ეხლა და ნახა ყველამ, როგორ ტყუილად აძლიეს მწერალს ფულები, მხოლოდ ელიან, რას იზამს ახალი მამასახლისი და რა პასუხს მისცემს ჯერ-ჯერობით ამ ორს მოჩივარს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი მამასახლისი ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს.

ვინმე შინდელი

---

## ჩვენში თუ მოხდება!

(ქართულის დაბადების ახლად დაბეჭდვის გამო).

„ივერიის“ მე-135 ნომერში ამოვიკითხეთ ერთი ისეთი ამბავი, რომელსაც ყოველივე შეგნებული და ქართულის მწიგნობრობის მცოდნე და მოყვარე ქართველი ვალდებულია ყურადღებით მოექცეს.

როგორც გაზეთს შეუტყვია, „ექსარხოსის განკარგულებით გ ნზრახვა აქვთ ხელმეორედ დასტამბონ დაბადება ქართულს ენაზედ. ეს ხელმეორედ დასტამბვა იმას გამოუწვევია, რომ პირველად დასტამბულს დაბადებაში შეცდომები შეპარულა. ამ შეცდომათა შესწორება საქართველოს ექსარხოსს მიუნდვია არხიმანდრიტის მ. ლეონიდისა და დეკანოზის პ. ყონჩოაშვილისათვის“.

ის ნაკლულევანება, რომ პირველად დასტამბულ დაბადებაში შეცდომები შეპარულა, არ უნდა იყოს ძნელი გასასწორებელი, რადგან, თუ არა ვსცდები, დაბადებას ბოლოში მიბეჭდილი აქვს საჩვენებელი, სადაც ანუსხულია ამა და-ამ კაბადონზედ ამა-და-ამ სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია ესა და-ეს სიტყვა, ხოლო-კი უნდა იყოს ესა-და-ესაო. მაშასადამე თუ შეცდომად მხოლოდ ეს გარემოება დაუნახავთ, საქმის გაჩარხვას ბეჯითის კორექტორის მეტი არა უნდა-რა. მაგრამ აქ სხვა რამეც მეგულება და სწორედ ესა მაქვს სათქმელი მკითხველისათვის, თუ იმასაც მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ქართულის დაბადების დაბეჭდვისა და თვითონ ტექსტის ავკარგიანობის თაობაზედ სჯა და ბაასი.

ზემოხსენებული ქართული დაბადება, მოგეხსენებათ, მსხვილის მხედრულის ასოებით არის დაბეჭდილი ორ უზარ მაზარ ნაწილად, რომლის ხელთა ხმარება მეტად გაუჭირდება ადამიანს, რა ხნისაც უნდა იყოს და რა შემთხვევასა და გარემოებაშიაც უნდა იმყოფებოდეს. ამას გარდა დაბადების ახალი ამბავი თუ წიგნი ახალის კაბადონით, ან მუხლი ახლის სტრიქონით, კი არ იწყება როგორც მიღებულია განათლებულ ხალხთა დაბადებანში და საზოგადოდ წესიერად ნაბეჭდ წიგნებში, არამედ როგორც ამბავი (მომეტებულ ნაწილად), ისე სტრიქონიც იქ იწყება, სადაც თავდება. ასე რომ პატარ-პატარა წიგნებად აკინძვინება რომ მოინდომოთ, ვერას გახდებით, თუ დაყოფის დროს შესავსებლად გადმოწერილი ფურცლები არ მოიშველიეთ: ორივე ნაწილი დაბადებისა ზედი ზედ მიყოლებით არის დაბეჭდილი. ამას რომ დავურთოთ თავებისა და მუხლების აღსარიცხველად ხმარებული ერთი და იგივე სათვალავი და ისიც მხედრულის ასოებისა, თავებისთვის რომაულისა და მუხლთათვის, არაბულის ციფრების მაგიერ, სასვენ ნიშნთა სრულიად უხმარებლობა და ამასთანავე თითონ გამოცემის შეუფერებელი ფორმატი, დასრულდება ყოველი ნაკლი, რომელიც აქვს დაბადების გარეგანს მხარეს.

შინაგანის ღირსების, ე. ი. თარგმანის სინამდვილისა და ენის სიმშვენიერისა რა ვსთქვა. მე, როგორც სიტყვიერების მოყვარემ, ერთხელ მოვიხალისე ერთმანერთისთვის შემედარებინა დაბადების ქართული, ფრანგული და რუსული თარგმანი, რომელთა შორის ორი უკანასკნელი პირდაპირ ებრაულიდამ იყო ქმნილი. საქმეს შევუდექი, რასაკვირველია, მოსეს პირველის წიგნის პირველ მუხლიდგან და ჩავყევი თითქმის ბოლომდე. მართალი უნდა მოგახსენოთ, განსხვავება ქართულ ტექსტში ბევრნაირი აღმოჩნდა. ჩამატებული სიტყვა-კი არა, ზოგა მთელი წინადადებაც ურევია; ზოგან სიტყვა აკლია, ზოგან-კი აზრიც სხვა ნაირი გამოდის. სიტყვათა საქცევი და კილო ხომ უცხოა და უცხო. ამას არ დავჯერდი და მივმართე ერთ ქართველს ისრაელს ს. რ—შვილს, რომელმაც ებრაული ენა ზედმიწევნით იცის და სკოლაცა აქვს გამართული, სადაც ისრაელთა ბავშვებს ებრაულ დაბადებას ქართულად ათარგმნინებს. დავუკვირდი იმათ თარგმანს და ებრაულთან შედარებითაც სხვა და-სხვაობა ვპოვე ქართულს დაბეჭდილს ტექსტში. გავიფიქრე, უთუოდ ებრაული დაბადება სხვა და-სხვა ვარიანტად იპოვება და ზოგიერთ ხალხთა,

---

მეზვრე მებ ლეები შესჭამენო!.. ასეთის მოძღვრების განხორციელება ხომ მთელ დუნიას აოხრებდა სილატაკით, და აღარ იქნებოდა ქვეყანაზე აღარც ს ხელმწიფო ხაზინა ბანკები და აღარც სხვა ათასგვარი სააღებმიცემო დაწესებულებანი ქვეყნისა, რომელთაც ერთობ დაქირავებული ადამიანები ჰმეთაურობენ, განაგებენ და აწარმოებენ. ვინ ამბობს, არიან ქურდი-მოღალატენიც და არსებობს კიდეც იმათთვის ათას გვარად თავლაფ-დამსხმელი სასჯელიც. დიაღ ერთი და ორი მგელი ქვეყანას ვერ დააქცევს და იმათ გულისათვის ქვეყანა თავის მაცხოვრებელ ცხვარს არ გასწყვეტავს-თქო“, მაგრამ ურწმუნო თომა მაინც თავისას გაიძახის დაჟინებით: „შესჭამენო“. ეჰ რას იზამთ, მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო...

მეორე ჯურის მოწინააღმდეგენი არიან უფრო წურბელა მოვაჭრე-მოვახშენი, რომელნიც თავ მომწონე სიცილ-ხარხარით გაიძახიან: „აღებ-მიცემობა მოტყუებისა გაუჩენია უფალს, რომ ვაჭარმა კიდე ამ გზით იცხოვროსო, და ვიღაც ნასწავლები-კი იძახიან: მოტყუებას „უნიჩტოჟიტი“ უნდა ვუყოთო! როცა იმათ დეპო-ბანკები დაუხსნან ხალხს, მაშინ დაიკვეხონ. განა ნასწავლების სიტყვა დასაჯერებელიაო და სხვანი. „ეჰ, ჩემო ბატონო, —ეუბნებით: უსწავლელებს ნასწავლებისა არა გწამთ-რა და ის-კი ფიქრადაც არ მოგდით, რომ ყველა კეთილი საქმე ცხოვრებისა სწავლა-ცოდნას მოუგონია და იგონებს. იყო დრო, ბატონებსაც ყმების ჩამორთმევის ხმა ემაგრე თქვენისავით სიცილადაც არა ჰყოფნიდათ, მაგრამ ბატონები როგორ დაჰლუპავდნენ ისე უღვთოდ თავის ყმებს, როგორც დღეს ვაჭრები ჰყვლეფავენ და ჰლუპავენ მდაბიო ხალხს. ნუ, ნუ გგონიათ, ბატონო, რომ ქვეყნის აღებმიცემობა საუკუნოდ კერძო ვაჭარ-ჩარჩების ხელში იქმნება. უწინ ქვეყანა ჩალით იყო დახურული, დღეს კი კრამიტით იხურება, ქვეყანა თანდათან წინ მიდის და იმდენს ივლის, ვიდრე ყველა ჭირ-ვარამს თავის ცხოვრებისას ყველაში შეერთებული ძალღონის ძლიერებით ბოლოს არ მოუღებსთქო“. პოლოს მკირტიჩი-კი ისევ თავისას გაიძახის: „ეგ სულ ტყუილიაო!..“ მაგრამ ესეც არაფერი: ვაჭარი ყოველ დღე-ღამე ტყუილს ლაპარაკობს და ამიტომაც ყველა თავისავით მატყუარად ეჩვენება.

არიან კიდევ მესამე ჯურის მოწინააღმდეგენი: ჯაგლაგი მეცნიერები და შურ-ღვარძლით გატენილნი. ეს ბატონებიც ცხოვრების ზღვაში ღრმად ჩაუხედავად და საკამათო საგნის ისტორიის შეუგნებლად ტიტინებენ ღრეჭა-კრეჭით: ხალხში დეპო-ბანკების განხორციელება როგორ შეიძლებაო და თუნდა შეიძლებოდეს კიდეც, არაფერი გამოვაო. შულცე-დელიჩა-კი არ იძახა გერმანიაში: დეპო-ბანკები გაგამდიდრებთო, მაგრამ ვერ გამდიდრდნენო. თუ კი მართლა ემაგნაირი ასოციაცური დაწესებულებანი წინ წასწევდა ქვეყანას, აქამდის მთელ დუნიას მოეფინებოდა და აღარც პროლეტრი იქმნებოდა ევროპაშიო. ძალ-უნებურად გაგაღიმებს ასეთი უსუსური ლოღიკა გონება-დაგვალულის „მეცნიერისა“. ეს ხომ იმასა ჰგავს, რომ სთქვას ვინმე: სწავლა-ცოდნა თუ კარგი იყო და ქვეყანას უშველიდა, ამ რამდენსამე ათასის წლის განმავლობაში მთელის დუნიის ქალაქ-დაბა-სოფლები ყველთამდის მოიყრებოდნენ სკოლებით, წიგნთ-საცავებით, ჟურნალ-გაზეთებით და უსწავლელ-უცოდინარი ერთიც აღარავინ იქმნებოდა ქვეყანაზეო!.. დიაღ, ხსენებული კრიტიკანების ლოღიკადგან დასკვნა გამოდის, რომ სწავლა-ცოდნაც არ ვარგებულა, თორემ უეჭველად ეს ასე უნდა მომხდარიყო!..

თუ-კი ადამიანთა ამყვავებელმა სწავლა-ცოდნამ რამდენიმე ათასის წლის განმავლობაშიც ვერ გაიდგა ფესვები ადამიანთავე უმრავლესობაში, რა გზით-ღა შეეძლო ერთბაშად შემოევლო და გაემდიდრებინა მთელი ქვეყანა ასოციაციურ აზრთა მოძრაობას, რომლის დაბადებას ჯერ ერთი საუკუნეც არ შეჰსრულებია?! მაგრამ აბა მიჰხედეთ მაინც, ბ-ნნო ძალად-მეცნიერნო, რა სისწრაფით მიეშურება და რას სჩადის დღეს მთელს ევროპაში აღორძინება თქვენგან დამცირებულ ასოციაციისა. არ შევაბეზრებთ მრავალ მაგალითების ჩამოთვლით, იხილეთ თუნდა მიხაილოვის: «Ассоціація. Очерки практическаго примѣненія принципа коопораціи въ Германіи, въ Англіи и во Франціи, კონის: «Потребительныя товарищества чиновниковъ въ Англіи»—90 წ; მოისმინეთ ლონდონის გიგანტურ საზოგადოება: „Metropolitan Bread Union“-ის საკვირველ-მოქმედებანი და თვით თქვენვე დარწმუნდებით თქვენის მსჯელობის სიყალბეს.

(დასასრული იქნება)

და მათ შორის ჩვენი დაბადება, ხომ თარგმანის თარგმანი-მეთქი. რაცა ვსთქვი ჩვენის დაბადების გარეგანისა და შინაგანის ღირსებისა, მისი დასაბუთება საჭიროდ არ მიმაჩნია (თუ ვინმე მოითხოვს, მზად გახლავარ), რადგან ნათქვამი უეჭველი მგონია და ცნობის მოყვარე ფილოლოგსაც შეუძლიან, თუ მოისურვებს, თითონვე დარწმუნდეს.

შეცდომად თუ მივიღებთ აგრეთვე იმას, რაც ითქვა ქართულის დაბადების შინაგანის ღირსების შესახებ, მაშინ მისი ახლად დაბეჭდვა სხვა ნაირ შრომასა და მოღვაწეობას გამოიწვევს და იმედია დიდად პატივცემული მ. ლეონიძე, როგორც სასულიეროს აკადემიურის განათლებით აღჭურვილი, ჯან ღონით სავსე და მოძმეთათვის კეთილად მოსწრაფე ქართველი, ღირსეულად წარუძღვება ქართულის სამღრთო წერილის გამართვისა და გამშვენიერების საქმეს და გამოიყენებს რჩევასა და დარიგებას, თუ კი მიმართავს ისეთ საქმისა და ენის მცოდნე მოღვაწეთ, როგორნიც არიან მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, თავადნი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, ნიკოლოოზ ტარიელის ძე დადიანი და ბატონი გიორგი ევთიმეს ძე წერეთელი, რომელთაც სამწერლო ენა განვითარებულია ქართულის დაბადების შესწავლით.

პ. მირიანიშვილი

## წერილი სტამბოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

დღეს, 28 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათსა და ოც წამზედ აქ ძლიერი მიწის ძვრა იყო. ხალხი შიშისაგან ერთმახეთს ეცა. ამ საზარელ ბუნების მოვლენას წინ უძღოდა საშინელი ქუხილის ხმა. მიწა ისეთ ნაირად შეიძრა, რომ ბევრმა ფეხი ვერ შეიმაგრა და ძირს დაეცა. ხალხი აირია ერთმანეთში, არ იცოდნენ სად გაქცეულიყვნენ, როგორ ეშველათ თავისათვის. დედამიწა ორჯელ შეირყა ზედი-ზედ და დიდადაც დააზიანა ქალაქი. ზარალი აუარებელია. ქალაქის ერთს ნაწილში, სახელდობრ გალატაში, ზოგიერთი ძველი სახლი ჩაინგრა და რამდენიმე ადამიანი ქვეშ მოიტანა. აქვე წმიდა ნიკოლოოზის ეკკლესიის კედელი გასქდა. საზარელი წივილ-კივილია ყველგან. ერთს ახალგაზდა ქალს დაეცა თავზედ გადმოხგრეული სახლის კედელი და ქვეშ მოიტანი. საცრალო ამ ჟამად ეკკლესიაში ასვენია და გაგიჟებული დედა თავზედ დასტირის. ამბობენ, მოვკლია ძკვდარი და დაშავებულიო. ხმა არის გავრცელებული, რომ შუაღამის ორ საათზედ კიდევ იქნება მიწის ძვრაო. სავაჭრო ადგილები, მაღაზიები, ყავახანები და სასტუმროები დაკეტილია. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე შეხვდებით შიშისაგან დაბნეულ მომტირალ ხალხს. დაშავებულთა რიცხვი და რაოდენობა ზარალისა ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, მაგრამ, როგორცა სჩანს, დიდი უნდა იყოს.

იასე რაჭველი

## საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ანდერძი (1089-1125 წ.), დაწერილი 1123 წ.

ძველ საბუთის წერილთა შორის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორაში არის შენახული დახვეული სიგელი (3 ადლის სიგრძისა და $6^1/_4$ გოჯი სიგანისა), რომელიც დაწერილია ხუცურად და შეიცავს ანდერძს საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებლისას. რადგან მელანი სულ მიმქრალი ყოფილა, ხელმეორედ განუახლებიათ შემდეგზედ მელნით, რის გამოც, სამწუხაროდ, ზოგან აზრი ისე გასაგები აღარ არის.

ამისდა მიუხედავად ეს ანდერძი მაინც დიდად საყურადღებოა სხვადა-სხვა მხრივ: იგი წარმოადგენს ერთს უძველესს შესანიშნავს ნაშთს ქართულ ძველ მწერლობისას ტერთადერთს საბუთის ქალალდს, რომელსაც თვით წმ. დავით აღმაშენებლის ხელი აწერია. გარდა ამისა ეს ანდერძი შეიცავს ახალს ისტორიულს ცნობებსაც, რომელიც შეავსებს, და ჰხსნის რუსეთის აკადემიის შრომით გამოცემულს ქართულს მატიანეს და ნათელსა ჰფენს საქართველოს მონასტერთა გამგეობის და წეს-წყობილების საქმეს.

კერძოდ ამ ანდერძში მოხსენებულია ახალი ცნობა, რომ უმთავრესი ტაძარი შიო მღვიმის მონასტრისა აშენებულია მეფე დავით აღმაშენებლისაგანაო.

ზემოხსენებული ანდერძი გადმოუთარგმნია რუსულად ისტორიკოს ფილოლოგს თ. ჟორდანიას, იმისგანვე ჩაწერილია ის სიტყვები, რომელიც ან აკლია, ან გაფუჭებულია, და ამნაირად აზრი აღდგენილი და ახსნილია. ეს თარგმანი, გაზეთ „Кавказъ“-ის სიტყვით, ამ ცოტა ხანში იქნება დაბეჭდილი სატახტო ქალაქის რომელსამე ისტორიულ ჟურნალში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გაზ. „ივერიის“ მე-127 № ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ვიღაც „მეორე დამსწრესი“, რომელშიაც უდიერად იხსენიებს ჩემს 12 წლისა და 9 თვის ქალიშვილს. ეს სამწუხარო ამბავი, რომელიც იქ არის აწერილი, ისე-კი არ მოხდა, როგორც თქვენი კორესპონდენტი იწერება, არამედ აი უოკვლა გარემოება იმ ამბისა.

9 ივნისს საღამოს $9^1/_2$ საათზედ, გორის საქალაქო ბაღში სეირნობდა ჩემი მცირე-წლოვანი ქალიშვილი თავის ტოლებთან ერთად და თანა ჰყავდა ჩემი ხათესავი კაცი ამირაღოვისა, რომელიც ჩემის თხოვნით გაჰყვა. როდესაც მინ წასვლა დააპირეს და გამოვიდნენ ბაღის კარებთან, აქ დახვდნენ თურმე თავადი გ. ა., დ. ქ. და გ. ა. და აგრეთვე მოსამსახურე ბიჭები — შეიარაღებულნი ჩანჩნი. სტაცეს თურმე ჩემს ქალს ხელი გ. ა—მა და დ. ე—მა, ძალათი ეტლში ჩასვეს და უნდოდათ გაეტაცნათ. უმანკოლმა ქალმა წივილი შექმნა, მეეტლემ დაინახა, რომ რაღაცა ცუდს საქმეს აპირებდნენ, გადახტა და გაიქცა. ამ დროს ჩემი ქალიც ხელიდგან გამოუსხლტა, მაგრამ ისევე დაიტაცეს და უნდოდათ ეტლში ჩაესვათ. ხათესავი კაცი გ. ამ—ოვისა ჩამოჰკიდა გაბაზედ და თავს არ ანებებდა. აქ მოსამსახურე თავ. გ. ა—რის მოსამსახურე ჩანჩანი ცხენით და ხმლის უკუით დაუწყო ცემა გ. ა—სას, მაგრამ იმან მაინც თავი არ დაანება. ჩანჩანი ხმლით გარშემო ტრიალებდა, რა არის არავინ მოეშველოსო. ამ გვარად უმანკოლი ქალი მეორე ეტლში ჩასვეს, მაგრამ რაკი იქიდგანაც გადმოუხტათ, ხელ-ახლავ გაიტაცეს, რომ ცხენზედ შეესვათ და ისე წაეყვანათ. დიდი წივილ-კივილი და ხმაურობა იყო, ხალხი დიდად მღელვარებდა და არ იცოდნენ, როგორ გადაერჩინათ ჩემი ქალიშვილი. ამ დროს მოასწრეს პოლიციის ბოქაულებმა და იმათ დაიხსნეს ჩემი ცოცხალ-მკვდარი ქალი და გ. ა—ოვისა, რომელსაც ჩემს ქალსავით ტანისამოსი სულ ერთიანად შემოფხრეწილი ჰქონდა.

აი მთელი ვითარება ამ ამბისა. თქვენი კორესპონდენტი სწერს, რომ ვითომ ჩემი ქალიშვილი იმ საღამოს გამოსთხოვებოდეს თავის ამხანაგებს და ეთქვას, მშვიდობით, ვეღარა მნახავთო. ამას გარდა, ვითომ ჩემს ქმარს დაეტოვებინოს ანდერძი, რომ სხვა სარწმუნოების კაცს არ მისცეთო. ამას იმასაც დასძენს, რომ დ. ტ—სა 15 წლისა არის და შეხედულობა-კი 17 წლისა აქვსო. უოკვლავე ეს და დანარჩენი მისი ნათქვამიც სიმართლეს სრულიად მოკლებულია. არ მესმის რისთვის მოიგონა კორესპონდენტმა, ვითომ ჩემს ქალიშვილსა და გ. ა—რს ჰყვარებოდეთ ერთმანეთი, როდესაც, არამცთუ სიყვარულს ადგილი არა ჰქონია, ნაცნობებიც-კი არ იყვნენ და არც არიან ერთმანეთისანი. აშკარაა, აქ სიყვარული-კი არა ყოფილა გატაცების სურვილის მიზეზი, არამედ სხვა გარემოება, რომელსაც ამ საქმის გამო დაწყებული გამოძიება უეჭველად აღმოაჩენს. ეხლა-კი მე, ჩემდა თავად, მხოლოდ იმასა ვწუხვარ, რომ ასეთი შეურაცხება მიაყენეს ჩემს მცირე-წლოვანს ქალიშვილს, რომელიც ჯერ იმდენად პატარაა, რომ ვერც საქმროს ამოირჩევს და ის-კი ხომ ყოვლად შეუძლებელია, ცოლობის პირობა მისცეს ვისმე, როდესაც ფიქრადაც არ გაუტარებია ჯერ გათხოვების აზრი.

ქვრივი ეკ. ტერ-აკოფოვისა

### პეტერბურგის ბირჟა, 5 ივლისი

| | მყიდველობა | გამყიდველობა | გაყიდულობა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,42}$ | $7_{,45}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 149 | 149 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 241 | „ | — „ |
| — მეორისა | — „ | — „ | 226 |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | „ | — „ | $190^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — „ | — „ | $101^3/_4$ |
| 5% | — „ | 101 | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6% | — „ | 102 | — „ |
| 5% | — „ | 101 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — „ | — „ |


# განცხადებანი

მივიღებ ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:

ვხატავ ფაიფურზე და ატლასზე, პორტრეთი პორტფელზე — 10 შაური.

აგრეთვე მაქვს თამარ მეფის სურათი ატლასზედ დახატული ბალიშისთვის — 3 მ., ლამპარის აბაჟური ექვსის ცნობილ ქართველ მწერალის სურათით 3 მ., აბრეშუმის ხელსახოცები მწერალთა სურათებით: 3 აბაზი 1 მ., ვისაც სურს თავისი სურათი დავახატვინოს ამგვარს საგნებზედ, შეუძლია მობრძანდეს სურათის გადასაღებად ან სურათი გამოგვიგზავნონ.

ვისაც ფოტოგრაფიის შესწავლა სურს, ქალსაც და კაცსაც, შეუძლია მომმართონ ამ ადრესით: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36, ქ-ნს ა. ბ. როდიონოვს.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა— ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საწყობში და ქართველთ ამხანაგობის მაღაზიაში

# დავითიანი

თქმული

დავით გურამიშვილის მიერ

პეტრე უმიკაშვილის და გ. წერეთლის წინასიტყვაობით.

მესამე გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი 1 მანეთი

(3—3)




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობსაის“ წყობში.




„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა | „ | 20 |


Дозволено цензурою Тифлисъ, 6-го Іюля 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.